

კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებთან მიმართებაში

1. მიზანი და შინაარსი

კავკასიის უნივერსიტეტში შექმნილია გარემო, რომელშიც ფასდება მრავალფეროვნება, ადგილი არ აქვს დისკრიმინაციასა და შევიწროვებას და ყველა თანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობს. ამ მიზნით უნივერსიტეტი ისეთ სამუშაო, სასწავლო და სოციალურ გარემოს ქმნის, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ყველა სხვა თანამშრომელს თანაბარი სამუშაო და სასწავლო პირობები აქვს.

2. პოლიტიკის მიზნები

კავკასიის უნივერსიტეტის მიზანია მის ყველა წევრს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე, სოციალურ და გასართობ საქმიანობაზე. კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი წევრებისა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის აღნიშნული პოლიტიკის გაცნობას. წინამდებარე დოკუმენტი პოლიტიკის შესახებ შესაძლებელია პერიოდულად გადაიხედოს და შესწორდეს.

3. ძირითადი პრინციპები

კავკასიის უნივერსიტეტი თავის მოვალეობად მიიჩნევს:

- შექმნას და ხელი შეუწყოს ისეთი მრავალფეროვანი გარემოს განვითარებას, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებს უქმნის ყველა სსსმ პირს და მათ განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობას აძლევს;
- მტკიცედ უჭერს მხარს სსსმ პირებს, ისწავლონ და იმუშაონ კავკასიის უნივერსიტეტის ყველა სხვა სტუდენტთან და თანამშრომელთან ერთად თანაბარ პირობებში;
- კავკასიის უნივერსიტეტი არ გამოიჩენს ტოლერანტულობას სსსმ პირების დისკრიმინაციასა და დამცირებაზე; დაგეგმარებაში (გარემოს, მომსახურების, სასწავლო პროგრამების და ა.შ.) გაითვალისწინებს „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპებს, რაც

განსხვავებული სსსმ, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებს, მათით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს.

- ხელს შეუწყობს სსსმ პირების მიმართ დამოკიდებულებისა და ინფორმირებული ქცევის კულტურის დამკვიდრებას და დაეხმარება მათ საკუთარი თავისადმი რწმენის გაძლიერებაში.
- სსსმ პირებისთვის შექმნის და გაითვალისწინებს ყველა საჭირო ცვლილებას, რაც მათ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის სრულ შესაძლებლობას მისცემს.

4. კონფიდენციალურობა და მხარდაჭერა

კონფიდენციალურობა

- კავკასიის უნივერსიტეტი აღიარებს და ცნობს, რომ ინფორმაცია ადამიანის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და ჯანმრთელობის სტატუსის შესახებ პირადი და კონფიდენციალურია, რის გამოც იგი პატივისცემით ეკიდება ამ ინფორმაციას.
- სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და პერსონალის სპეციალური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ხელმისაწვდომობა სათანადოდ იქნება დაცული საქართველოს კანონით „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“.

მხარდაჭერი აქტივობები და სერვისები

- კავკასიის უნივერსიტეტი იცავს და ითვალისწინებს ამა თუ იმ ადამიანის კონკრეტულ საჭიროებებს და აქედან გამომდინარე ახორციელებს საჭირო ცვლილებებს, მათ შორის უზრუნველყოფს: მოქნილ სამუშაო გარემოს, სამუშაო ადგილის შესაფერის ინფრასტრუქტურას, მოქნილ სამუშაო გრაფიკს, შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას, სხვა სახის დახმარებას და ა.შ.
- სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება მოიცავს დასაქმებისა და კარიერული წინსვლის ყველა ეტაპს.
- შესაძლებლობის შემთხვევაში, სსსმ სტუდენტებმა და მათ, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გრძელვადიანი გაუარესება აღენიშნება, შეფასების იგივე პროცედურები უნდა გაიარონ, რომელსაც სხვა სტუდენტები ექვემდებარებიან. იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური საჭიროებები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, გამოყენებული იქნება შეფასების სხვა მეთოდები.

კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი

- კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ცოდნა, უნარები და ინფორმაცია სსსმ პირებთან დაკავშირებით;
- უნივერსიტეტის ყოველი თანამშრომლის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს სსსმ პირთა დისკრიმინაცია ან შევიწროვება;
- სსსმ პირებს ექნებათ წახალისება კავკასიის უნივერსიტეტში სამუშაოს დაწყების განაცხადით მომართვის შემთხვევაში. შერჩევისა და დანიშვნის პროცესში გათვალისწინებული იქნება სსსმ პირების შესაძლებლობები. საჭიროების შემთხვევაში მოხდება გასაუბრების პროცესის მხარდაჭერა;
- სსსმ პერსონალს მიეცემა კარიერული წინსვლისა და დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობები.
- კავკასიის უნივერსიტეტი სათანადო დახმარებას გაუწევს სსსმ თანამშრომლებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, რათა მათ უნივერსიტეტის ისეთ აქტივობებში შეძლონ მონაწილეობა, როგორც არის: ტრენინგები, ვორქშოპები და კონფერენციები;
- პერსონალმა და პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებსაც სამუშაო ადგილზე გონივრული ცვლილებების შეტანა ესაჭიროებათ, თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სპეციალური საჭიროებების არსებობა უნდა დაადასტურონ და წარმოადგინონ სათანადო სამედიცინო ან სხვა პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციები იმ ცვლილებების თაობაზე, რომელიც მათთვის შესაფერისი სამუშაო გარემოს შექმნისთვის არის აუცილებელი.

სტუდენტები

- უნივერსიტეტი თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების ერთგული რჩება და ცდილობს ეს პრინციპი უცვლელად გამოიყენოს სტუდენტების მიღების პროცესში.
- მომავალი ან უკვე ჩარიცხული სტუდენტები უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე უნდა გაეცნონ მათ მიერ არჩეული პროგრამების მოთხოვნებს;
- კავკასიის უნივერსიტეტი პერიოდულად გადახედავს მიღების კრიტერიუმებს, რათა დარწმუნდეს, რომ არ უწესებს არასაჭირო ბარიერებს სსსმ პირებს.
- სსსმ სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტს არ აცნობოს საკუთარი სპეციალური საჭიროების შესახებ;

- სსსმ სტუდენტებს გაეწევათ ყველა საჭირო დახმარება და მათთვის ჩატარდება ყველა ის ადაპტაციის პროცედურა, რაც მათი კავკასიის უნივერსიტეტის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის არის აუცილებელი.

სწავლება და შეფასება

- საჭიროების შემთხვევაში კავკასიის უნივერსიტეტი შეიმუშავებს სათანადო გაიდლაინებს იმ კორექტივების შესახებ, რომელთა შეტანაც საჭიროა სწავლებისა და შეფასების პროცესში, მათ შორის: ლექციების ისეთ ფორმატში წარმართვა, სადაც გათვალისწინებულია მხედველობის ან სმენის შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები; გამოცდის ინდივიდუალური პირობები: წამკითხველი, დამატებითი დრო ან მსხვილი შრიფტით დაბეჭდვა; შეფასების ალტერნატიული ფორმების გამოყენება: მაგ.: ზეპირი გამოცდები, საველე სამუშაოებზე სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება; ლაბორატორიული სამუშაო და პრაქტიკული მეცადინეობების შეთავაზება შეზღუდული შესაძლებლობების ტიპიდან გამომდინარე და მათ მიხედვით.
- სსსმ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ გამოიყენონ მათი შესაძლებლობებისათვის საჭირო დამხმარე საშუალებები ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების, შეფასებებისა და გამოცდების დროს და ასევე პრაქტიკაზე ყოფნისას.

უფლებები და პასუხისმგებლობები

- წინამდებარე პოლიტიკისა და მისი პრინციპების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი.
- უნივერსიტეტში ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის არსებობა.
- ყველა პასუხისმგებელია სსსმ პირების თანასწორი უფლებებით უზრუნველყოფაზე და მათ სამართლიანად და სათანადო პატივისცემით მოპყრობაზე, წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნათა დაცვით.